2020 წლის 9 ივლისი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

ბ-ნ, არჩილ თალაკვაძეს

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა

და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარეს

ბ-ნ რომან კაკულიას

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს

ბ-ნ ანრი ოხანაშვილს

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეს

ბ-ნ, რატი იონათამიშვილს

ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეს

ბ-ნ, რომან გოცირიძეს

ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსი და სოციალ-დემოკრატების“ თავმჯდომარეს

ბ-ნ, გიორგი ლომიას

ფრაქცია „ევროპული საქართველოს“ თავმჯდომარეს

ბ-ნ, ოთარ კახიძეს

ფრაქცია „დამოუკიდებელი დეპუტატების“ თავმჯდომარეს

ქ-ნ, მარიამ ჯაშს

საქართველოს პრემირ-მინისტრს

ბ-ნ, გიორგი გახარიას

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსს

ქ-ნ, ნათია მეზვრიშვილს

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს

ქ-ნ, ნათელა თურნავას

ასლი: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს

ბ-ნ კახი ბექაურს

მოგმართავთ საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში ინიცირებულ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტთან (კანონპროექტის ავტორი: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია) დაკავშირებით, რომელიც ეხება „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონსა და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში (*შემდგომში ერთობლივად* - „**კანონპროექტები**“) ცვლილებების შეტანას.

ვინაიდან, **კანონპროექტები** შინაარსობრივად ავტორიზებული პირების ფუნდამენტურ უფლებებს ეხება და მათი ამ ფორმით მიღება მნიშვნელოვნად ნეგატიურ გავლენას იქონიებს ავტორიზებული პირების სამომავლო საქმიანობაზე, განსაკუთრებით, ელექტრონული კომუნიკაციების დარგის საინვესტიციო მიმზიდველობაზე, გვინდა თქვენი ყურადღება გავამახვილოთ როგორც პროცედურულ საკითხებზე, რომელიც ეხება საკანონმდებლო ცვლილების მიღებას ნაჩქარევად, დაინტერესებული პირების მონაწილეობის, სათანადო განხილვის, საჯარო და გამჭვირვალე პროცესის წარმართვის გარეშე, აგრეთვე, საკანონმდებლო ცვლილების შინაარსობრივ მხარეზე, რომელიც წინააღმდეგობაშია კონსტიტუციასთან და სამართლის პრინციპებთან.

საკანონმდებლო ცვლილებების განხილვის და მიღების პროცედურასთან დაკავშირებული შენიშვნები

(1) *<u>საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავების/განხილვისას არ არის უზრუნველყოფილი დაინტერესებული პირების ჩართულობა</u>*

სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მფლობელმა ავტორიზებულმა პირებმა, რომელთა ინტერესებზეც პირდაპირ ახდენს გავლენას შემოთავაზებული კანონპროექტი, საკანონმდებლო ინიციატივის შესახებ მხოლოდ 2020 წლის 1 ივლისს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან (*შემდგომში* - „**კომისია**“) გამართული ინფორმაციული ხასიათის ონლაინ შეხვედრიდან შევიტყვეთ. შეხვედრისას კომისიის წევრმა, ბატონმა ვახტანგ აბაშიძემ ზეპირსიტყვიერად მოგვაწოდა ზოგადი სახის ინფორმაცია, რომ მთავრობის და არა კომისიის ინიციატივით მომზადებულია კანონპროექტი, რომელიც ეხება კრიტიკული ინფრასტრუქტურის საკითხს და ითვალისწინებს კომისიისთვის უფლებამოსილების მინიჭებას განსაზღვრულ შემთხვევებში დანიშნოს ავტორიზებული პირისთვის სპეციალური მმართველი, ასევე, განახორციელოს აუქციონის წესით ავტორიზებული პირის წილის გასხვისება.

მიუხედავად შეხვედრისას დასმული კითხვებისა და მოთხოვნისა, **კომისიას** ჩვენთვის გაეზიარებინა კანონპროექტი და მასთან დაკავშირებული სამუშაო მასალები, **კომისიისგან** მივიღეთ უარი იმ მოტივით, რომ ვინაიდან **კომისია** თავად არ იყო საკანონმდებლო ცვლილებების ინიციატორი, არ ფლობდა კანონპროექტის საბოლოო რედაქციას და არც რაიმე სხვა დამატებით ინფორმაციას მასთან დაკავშირებით. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეხვედრისას კომისიისგან მივიღეთ საჯარო დაპირება, რომ დაინტერესებულ მხარეებს მოგვეცემოდა შესაძლებლობა გავცნობოდით კანონპროექტს, ინტენსიურ რეჟიმში წარიმართებოდა განხილვები და მოსამზადებელი სამუშაოები, **კომისია** სრულად გაგვიზიარებდა მის ხელთ არსებულ ყველა ინფორმაციას კანონპროექტთან დაკავშირებით, მათ შორის, ოპერატორების მიერ მოთხოვნილ საერთაშორისო ექსპერტების დასკვნებს, მომზადების პროცესში გამოყენებულ მასალებს, რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) დოკუმენტს, იმ საერთაშორისო პრაქტიკას, რომელიც საკანონდებლო ინიციატივის ავტორმა გამოიკვლია და რომელსაც დაეყრდნო/გაითვალისწინა კანონპროექტის მომზადებისას (ყველა შემთხვევაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ავტორიზებული პირები იქნებოდნენ ისევე ინფორმირებულნი, როგორც თავად **კომისია.** ბატონმა ვახტანგმა შეხვედრაზე საჯაროდ დაგვიდასტურა, რომ სრულად აცნობიერებდა კომისიის, როგორც მედიატორის როლს ამ პროცესში და უზრუნველყოფდა ოპერატორების ინფორმირებულობას, ოპტიმალურ სამუშაო რეჟიმს და დაინტერესებული პირების პროცესში ჩართულობას.

საქართველოს პარლამენტის მიერ 2020 წლის 6 ივლისს პარლამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე კანონპროექტის საჯაროდ გამოქვეყნებამდე, არცერთ ავტორიზებულ პირს არ გვქონია შესაძლებლობა გავცნობოდით კანონპროქტის სამუშაო ვერსიას, პროექტის მომზადებისას გამოყენებულ მასალებს, არ მოგვცემია შესაძლებლობა საკუთარი მოსაზრებები გაგვეზიარებინა კანონპროექტის ინიციატორისთვის და მის შემუშავებაში ჩართული უწყებებისათვის. განსაკუთრებით ყურადსაღები და სამწუხაროა ეს გარემოება, როდესაც: (ა) საჯაროდ გამოქვეყნებული საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის ავტორად საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან ერთად მითითებულია კომისია; (ბ) ჩვენთვის მხოლოდ 6 ივლისს გახდა ცნობილი, რომ კომისიას არათუ არ მიუწვდებოდა ხელი კანონპროექტზე, არამედ თავად იყო საკანონმდებლო ინიციატივის ავტორი; (გ) სწორედ კომისიამ წარადგინა 2020 წლის 25 ივნისს მთავრობის სხდომაზე კანონპროქტი და ასევე, კომისიის თავმჯდომარე და წევრი წარადგენენ კანონპროექტს პარლამენტის საკომიტეტო სხდომებზე; (დ) 2020 წლის 25 ივნისს სხდომაზე საქართველოს მთავრობის მიერ „მოწონებულ იქნა კანონპროექტები“ და

მთავრობამ ამავე სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული კანონპროექტის პარლამენტში წარდგინების შესახებ, რაც ადასტურებს იმას, რომ კანონპროექტის საბოლოო რედაქცია ჯერ-კიდევ 2020 წლის 25 ივნისს იყო კომისიისთვის ხელმისაწვდომი; (ე) საქართველოს მთავრობამ კომისიის დასაბუთებული მოთხოვნით (კომისიის წერილი გ-20-03/2048, 24/06/2020) და წარდგინებით მიიღო განკარგულება (N 1102, 1/07/2020) კანონპროექტებთან დაკავშირებით რეგულირების ზეგავლენის შეფასების ჩატარების და კანონპროექტების საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე გამოქვეყნების ვალდებულებებისგან გათავისუფლების შესახებ, მაშინ როდესაც შეხვედრისას **კომისიამ** ავტორიზებულ პირებს გაგვიჩინა მოლოდინი, რომ ასეთი დოკუმენტის მიღების/გაცნობის შესაძლებლობა გვექნებოდა კანონპროექტის სამუშაო განხილვებისას.

მითითებული გარემოებები ადასტურებს, რომ **კომისია,** როგორც ადმინისტრაციული ორგანო, საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას არ იცავს ისეთ არსებით პრინციპებს, როგორებიცაა: კანონიერი ნდობის დაცვის პრინციპი, საქვეყნოობა და საჯაროობა. უმეტესწილად კანონიერი ნდობის პრინციპს ემყარება ის დაშვება და მოლოდინი, რომ ადმინისტრაციული ორგანო იმოქმედებს მართლზომიერად, კანონის სრული დაცვით, გაითვალისწინებს და დაიცავს რეგულირებული სუბიექტების ინტერესებს. დაინტერესებული მხარეების ჩართულობის, საჯაროობის, საკონსულტაციო განხილვების ჩატარების უზრუნველყოფის ვალდებულებას უდგენს მარეგულირებელს, ასევე „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“ ასოცირების შესახებ შეთანხმება (*შემდგომში* - „**ასოცირების შესახებ შეთანხმება**“ მუხლი 105.7).

თუმცა, კანონიერი ნდობის, საქვეყნოობისა და საჯაროობის პრინციპების დაცვის ნაცვლად **კომისია** ცდილობს (მათ შორის, არ ერიდება ავტორიზებული პირების შეცდომაში შეყვანას) მიიღოს ყველა ზომა, რათა მის მიერ მთავრობის სხდომაზე ინიცირებული კანონპროექტი დაჩქარებული წესით, სათანადო განხილვის, დასაბუთების გარეშე, მიიღოს საქართველოს პარლამენტმა იმ მიზნით, რომ **კომისიამ** უსაზღვროდ გაიფართოოს საკუთარი უფლებამოსილებები.

რადგან კომისია ვერ უზრუნველყოფს მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულებას, უგულებელყოფს ოპერატორებისთვის მიცემულ თითქმის ყველა საჯარო დაპირებას, მოგმართავთ თქვენ, საკანონმდებლო ორგანოს და კანონპროექტის ინიციატორს, რომ არ დაუშვათ ისეთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებების, რომლებიც პირდაპირ და ნეგატიურ გავლენას მოახდენს ავტორიზებული პირების სამომავლო საქმიანობაზე, ელექტრონული

საკომუნიკაციო დარგის საინვესტიციო მიმზიდველობაზე, მათ დაცულ და გარანტირებულ უფლებებზე, მიღება სათანადო განხილვების, კანონმდებლობით სავალდებულო/აუცილებელი დასაბუთების და ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობის გარეშე.

(2) <u>საკანონმდებლო ცვლილებების დაჩქარებული წესით მიღებისას ვერ იქნება უზრუნველყოფილი კანონპროექტების სათანადო, არსებითი განხილვა</u>

კომისიის შუამდგომლობით ინიციატორმა მოითხოვა კანონპროექტების დაჩქარებული წესით განხილვა. საქართველოს პარლამენტის ბიურომ 2020 წლის 6 ივლისს მიიღო გადაწყვეტილება (N372/3) და დაადგინა, რომ კანონპროექტებს საქართველოს პარლამენტი განიხილავს დაჩქარებული წესით და კანონპროექტები პარლამენტის სხდომის ერთ დღეს განხილულ იქნება ორი მოსმენით. „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი“ ითვალისწინებს საკანონმდებლო ორგანოს უფლებამოსილებას დაჩქარებული წესით მიიღოს და განიხილოს კანონპროექტი ინიციატორის წერილობითი, <u>დასაბუთებული</u> მოთხოვნის საფუძველზე (მუხლი 117.3).

მიგვაჩნია, რომ მოთხოვნა კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვასთან დაკავშირებით არ არის დასაბუთებული. გაურკვეველია და დაუსაბუთებელია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მითითება, რომ *„...ინიციატივის მიღების დაყოვნებამ შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესს და ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს, როგორც სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობას რეგიონული მასშტაბით, ასევე ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული/ლიცენზიის მფლობელი პირებისა და მილიონობით მომხმარებლის ინტერესს.*“

კომისიის და კანონპროექტის ინიციატორის მოთხოვნაში არ არის მითითებული რაიმე კონკრეტული ფაქტობრივი გარემოება, რაც ზემოთ მითითებულ დასაბუთებას გაამყარებს. გარდა ამისა მნიშვნელოვანია, რომ ის საკანონმდებლო აქტი, რომელშიც დაჩქარებული წესით ცვლილებების შეტანაა მოთხოვნილი საერთოდ არ ეხება და არ ადგენს კომისიის უფლებამოსილებებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის რეგიონალური კონკურენტუნარიანობის დაცვის სფეროებში. ამიტომ, შეუძლებელია კანონპროექტის დაჩქარებული წესით მიღება გამართლებული იყოს ასეთი მიზნების მისაღწევად, რომელიც სცილდება ნორმატიული აქტის (“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონის) რეგულირების სფეროს.

ასევე, გაურკვეველი და დაუსაბუთებელია **კომისიის** მხრიდან მითითება, რომ *„კომისიის წინაშე მწვავედ დგას ის პრობლემა, რომ ცალკეულ შემთხვევებში კომისიის მიერ მიღებული უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების აღსასრულებლად კანონით დადგენილ სანქციებს ხშირად ეფექტი არ აქვს...“* და რომ კანონპროექტის დაჩქარებული წესით მიღება გადაუდებელი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვითაა განპირობებული. კომისიის საქმიანობის 2019 წლიურ ანგარიშში, რომელიც კომისიამ საქართველოს პარლამენტს წარუდგინა, არსადაა მითითებული ასეთი გამოწვევების და პრობლემური საკითხების შესახებ, რომელთა დაუყოვნებლივ გადაჭრაც საკანონმდებლო ინიციატივას საჭიროებს. კომისიას საკანონდებლო ორგანო არ ჩაუყენებია საქმის კურსში, რომ მის რეგულირების სფეროს მიკუთვნებული საკითხის გადასაჭრელად საკანონმდებლო ორგანოს ჩარევა და ნორმატიულ აქტში ცვლილებების შეტანა იყო აუცილებელი. შესაბამისად, დღეს **კომისიის** მხრიდან „მწვავე პრობლემებზე“, აღსრულების ეფექტური მექანიზმის არარსებობაზე მითითება ეჭვქვეშ აყენებს **კომისიის** მოთხოვნის დასაბუთებას და მის რეალურობას.

მიგვაჩია, რომ კანონპროექტების დაჩქარებული წესით განხილვა მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას იქონიებს საბოლოო შედეგზე, ვინაიდან: (ა) დაინტერესებულ მხარეებს, პარლამენტის კომიტეტებს, თავად ინიციატორ მხარეს, პარლამენტის წევრებს არ ექნებათ სათანადო დრო, რომ გამოთქვან და კვალიფიციურად დაასაბუთონ საკუთარი მოსაზრებები და პოზიციები; (ბ) საკანონდებლო ორგანოს არ ექნება დაინტერესებულ მხარეებთან სათანადო და სრულყოფილი კონსულტაციების გავლის შესაძლებლობა; (გ) სრულად ვერ იქნება უზრუნველყოფილი კანონპროექტის საჯაროობა; (დ) შესაძლოა ვერ მოხდეს რისკების/პრობლემების სათანადო იდენტიფიკაცია და მიღებული კანონპროექტის სამომავლო უარყოფითი ეფექტის/გავლენის განსაზღვრა.

დაჩქარებული წესით განხილვის ნეგატიური შედეგების დასასაბუთებლად, ვფიქრობთ, უკვე დღეს არსებულ ფაქტებზეც მითითებაც საკმარისია: კანონპროექტის განხილვაში არ არიან ჩართულები დაინტერესებული მხარეები; კანონპროექტი არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ-გვერდზე; კანონპროექტს არ ახლავს რეგულირების ზეგავლენის შეფასების დოკუმენტი განხილვის პროცესის დაჩქარების მოტივით.

ვფიქრობთ, რომ არ არსებობს კანონპროექტების დაჩქარებული წესით განხილვის წინაპირობა, ამიტომ მოგმართავთ თხოვნით გაითვალისწინოთ კანონპროექტის მნიშვნელობა ავტორიზებული პირებისთვის, ზოგადად სატელეკომუნიკაციო

ბაზრისთვის, მისი სამომავლო განვითარებისათვის და განიხილოთ კანონპროექტი იმ ვადებში, რაც ყველა დაინტერესებულ მხარეს მისცემს შესაძლებლობას გაეცნოს პროექტს, გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები, ასევე მისცემს საკმარის დროს ინიციატორს, რომ წარმოადგინოს რეგულირების ზეგავლენის შეფასების დოკუმენტი, გამოკვლეული პრაქტიკის შესახებ ინფორმაცია, ექსპერტების შეფასება და სათანადოდ დაასაბუთოს კანონპროექტი. მიგვაჩნია, რომ მხოლოდ ამ ქმედებების ერთობლიობით და მათი არსებობის პირობებში, უნდა გადაწყდეს/ჩამოყალიბდეს კანონპროექტის საბოლოო შინაარსი და შესაბამისად, რაც ყველაზე მთავარია, მისი მიღების მიზანშეწონილობა.

კანონპროექტის შინაარსთან დაკავშირებული შენიშვნები

იმის გათვალისწინებით, რომ არ გვაქვს საკმარისი დრო, სათანადოდ გავეცნოთ კანონპროექტს, შინაარსობრივი ნაწილის განხილვისას მხოლოდ იმ ზოგად და მნიშვნელოვან საკითხებს შევეხებით, რომლებიც კანონპროექტის ერთი შეხედვით ანალიზიდანაც კი აშკარაა, რომ შეუსაბამობაშია ნორმატიული აქტის პროექტისთვის მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან:

(1) <u>კანონპროექტის მიზნობრიობა არის დაუსაბუთებელი</u>

კანონპროექტის განმარტებით ბარათში მოცემული კანონპროექტების მიღების მიზანი არ არის ლეგიტიმური და დასაბუთებული. ინიციატორი მიუთითებს, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანა ემსახურება „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში „*არსებული ვაკუუმის შევსებას*“ და კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების ეფექტური მექანიზმის დანერგვას. მიზნობრიობის დასაბუთებისას არ არის შესწავლილი და გამოკვლეული კომისიის ხელთ არსებული კანონმდებლობის ფარგლებში არსებული მექანიზმები, მათი ეფექტურობა, რატომ არ არის საკმარისი არსებული მექანიზმები და რატომ თვლის ინიციატორი საჭიროდ ახალი მარეგულირებელი ნორმის მიღებას. ასევე არ არის შესწავლილი და დასაბუთებული კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები.

(2) *<u>კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება არის არასრული და არასათანადო</u>*

განმარტებით ბარათში არ არის შეფასებული ის მოსალოდნელი ნეგატიური ფინანსური შედეგები იმ პირებისთვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება

კანონპროექტის მოქმედება. შემოთავაზებულმა კანონპროექტმა ავტორიზებული პირისთვის/ლიცენზიის მფლობელისთვის და მისი ბენეფიციარი მესაკუთრე პირებისთვის, მენეჯმენტის ორგანოებისთვის შესაძლოა შედეგობრივად გამოიწვიოს შემოსავლების, მატერიალური, არამატერიალური აქტივის სრულად/ნაწილობრივ დაკარგვა ან ავტორიზებული პირების წილის ღირებულების შემცირება, მათ მიერ ინვესტიციების მოძიების და მათი განხორციელების შეფერხება/შეუძლებლობა.

(3) <u>კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან არ არის გამოკვლეული და შეფასებული</u>

კანონპროექტის ავტორს არ შეუსწავლია და გამოუკვლევია კანონპროექტის შესაბამისობა და მიმართება ევროკავშირის სამართალთან. განმარტებით ბარათში კანონპროექტის ავტორი მხოლოდ ასოცირების ხელშეკრულების 105-ე მუხლზე აკეთებს მითითებას. ასოცირების ხელშეკრულების 105-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს სახელმწიფოს ვალდებულებას, რომ „მარეგულირებელი ორგანო საკმარისად უფლებამოსილი იყოს შესაბამისი სექტორის ეფექტიანი რეგულირებისთვის (effective regulation)“. ცალსახაა, რომ ეფექტიანი რეგულირება არ გულისხმობს მარეგულირებელი ორგანოსთვის ისეთი ფართო დისკრეციის მინიჭებას, რომელიც პირდაპირ ზღუდავს ძირითად უფლებებს და თავისუფლებებს, ეწინააღმდეგება დემოკრატიისა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს. ეფექტიანია თუ არა ესა თუ ის საკანონმდებლო რეგულაცია უნდა დადგინდეს რეგულირების გავლენის შეფასების პროცესში და არა მარეგულირებელი ორგანოს სუბიექტური შეფასების საფუძველზე.

კანონპროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, *"მსგავსი მექანიზმი უცხო არ არის რეგულირებადი ეკონომიკური საქმიანობის მომწესრიგებელი საკანონმდებლო აქტებისთვის"*. ამასთან, განმარტებით ბარათში მითითებულია, რომ *"ელექტრონული კომუნიკაციების სფეროსთვის, როგორც რეულირებადი ეკონომიკური საქმიანობისთვის ... სასიცოცხლოდ აუცილებელია მსგავსი რეგულაციის არსებობა, მით უფრო იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული პირები ხშირად ფლობენ ქვეყნის უსაფრთხოებისთვის და ეკონომიკური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს კრიტიკულ ინფრასტრუქტურას, რომელთა მიმართაც სხვადასხვა ქვეყანაში (მაგ. ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, ისრაელი, ესპანეთი) საკმაოდ მკაცრი რეგულაციები არსებობს, მათ შორის მესაკუთრეთა მხრივაც"*. *ამ ეტაპისათვის, ჩვენს მიერ განხორციელებული მოკვლევის შედეგად,*

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კანონპროექტით შემოთავაზებული "სპეციალური მმართველის" ინსტიტუტის ანალოგი ვერ იქნა მოძიებული და იგი არ მოიპოვება განვითარებული სატელეკომუნიკაციო ბაზრის მქონე სახელმწიფოების სატელეკომუნიკაციო სფეროს მარეგულირებელ კანონებში, მათ შორის, არც კანონპროექტის განმარტებით ბარათში დასახელებული ქვეყნების შესაბამის კანონმდებლობაში, რაც თავისთავად კიდევ უფრო ეჭვქვეშ აყენებს ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონში დაანონსებული ცვლილებების დასაბუთებულობასა და მის შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან.

(4) <u>კანონპროექტს არ ერთვის თან მომზადების პროცესში გამოყენებული მასალები და მიღებული კონსულტაციების შესახებ ინფორმაცია</u>

კანონპროექტის მომზადებაში არ ყოფილა ჩართული არცერთი სახელმწიფო/არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი. განმარტებით ბარათზე არ არის თანდართული სხვა ქვეყნების გამოცდილების მიმოხილვა მსგავსი კანონის იმპლემენტაციის სფეროში. განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც კანონპროექტის ავტორი განმარტებით ბარათში იშველიებს სხვა ქვეყნების („*მაგ. ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, ისრაელი, ესპანეთი*“) მაგალითს. თუმცა, გაუგებარია მითითებული ქვეყნების გამოცდილების მიმართება არსებული საკანონმდებლო პროექტთან, უცნობია რომელ კონკრეტულ ნორმატიულ აქტს და რა მიზეზითა, თუ მიზნით დაეყრდნო ინიციატორი.

კანონპროექტს, ასევე, არ ახლავს თან რეგულირების ზეგავლენის შეფასების დოკუმენტი. საქართველოს მთავრობის N35 დადგენილება „რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრავს იმ საკანონმდებლო აქტების ნუსხას, რომელშიც ცვლილებების შეტანის შემთხვევაში საჭიროა რეგულირების ზეგავლენის შეფასება. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონი განეკუთვნება ისეთ ნორმატიულ აქტს, რომელთან დაკავშირებითაც რეგულირების შეფასების განხორციელება სავალდებულოა. დაუშვებლად მიგვაჩნია რეგულირების ზეგავლენის შეფასების გარეშე იქნას განხილული ისეთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც მარეგულირებელს ანიჭებს უსაზღვრო/ფართო და, შეიძლება ითქვას, რომ შეუზღუდავ დისკრეციას, ჩაერიოს ავტორიზებული პირის/ლიცენზიის მფლობელის ბიზნეს საქმიანობაში, სუბიექტურად შეზღუდოს მისთვის არასასურველი ავტორიზებული პირის/ლიცენზიის მფლობელის ან/და მისი ბენეფიციარი მესაკუთრის საკუთრების უფლება.

ვფიქრობთ, რომ დაუსაბუთებელია კომისიის მოთხოვნა ისარგებლოს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული რეგულირების ზეგავლენის შეფასებისგან გათავისუფლებასთან დაკავშირებული გამონაკლისი წესით, რადგან სახეზე არ არის ისეთი განსაკუთრებულ შემთხვევა „როდესაც კანონპროექტის მომზადების და წარდგენის დაყოვნება გაუმართლებელია.“ (მუხლი 17_1.3).

კანონპროექტის შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციასთან

გარდა წარმოდგენილი კანონპროექტის და განმარტებითი ბარათის „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ მოთხოვნებთან ფორმალური შეუსაბამობისა, ვფიქრობთ, კანონპროექტი, ასევე, შეუსაბამოა საქართველოს კონსტიტუციასთან, კერძოდ:

(1) კანონპროექტით შემოთავაზებული ნორმები წარმოადგენს გაუმართლებელ ჩარევას კონსტიტუციით გარანტირებულ საკუთრების უფლების დაცულ სფეროში

საქართველოს კანონის პროექტი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ანიჭებს უფლებამოსილებას კომისიას დანიშნოს სპეციალური მმართველი და თავად, ერთპიროვნულად განუსაზღვროს ასეთ სპეციალურ მმართველს უფლებამოსილების ფარგლები; ასევე, მიიღოს გადაწყვეტილება ავტორიზებული პირის/ლიცენზიის მფლობელის წილის/აქციის აუქციონის წესით გაყიდვის შესახებ. ხოლო, საქართველოს კანონის პროექტი „მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ადგენს, რომ კომისიის მიერ მიღებული აქტების სასამართლო წესით გასაჩივრების შემთხვევაში არ გავრცელდება ავტომატური სუსპენზიური ეფექტი და არ შეჩერდება გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის/აქტების მოქმედება.

პირველ, რიგში გვინდა შევეხოთ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონში“ შესატან ცვლილებებს. კანონპროექტის მიხედვით სპეციალური მმართველი კომისიის მიერ ინიშნება მაქსიმუმ ორი წლის ვადით კომისიის გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად. კომისია საკუთარი გადაწყვეტილებით, ერთპიროვნულად ადგენს სპეციალური მმართველის უფლებამოსილებებს და პასუხისმგებლობებს. უფლებამოსილებების

ფარგლები საკმაოდ ფართოა და ფაქტობრივად გულისხმობს, რომ სპეციალურ მმართველს შეუძლია განახორციელოს ავტორიზებული პირის/ლიცენზიის მფლობელის სრული კონტროლი და შეითავსოს ყველა მმართველობითი ფუნქცია:

(i) განახორციელოს ავტორიზებული პირის/ლიცენზიის მფლობელის ყველა ორგანოს, მათ შორის და არამხოლოდ, დირექტორის, დირექტორთა საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოს, პარტნიორთა/აციონერთა კრების სრული უფლებამოსილებები;

(ii) დანიშნოს/გათავისუფლოს ავტორიზებული პირის/ლიცენზიის მფლობელის დირექტორი/დირექტორები, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები;

(iii) სასამართლოში გაასაჩივროს ავტორიზებული პირის/ლიცენზიის მფლობელის მიერ დადებული გარიგება და მოითხოვოს ასეთი გარიგების ბათილობა;

(iv) ავტორიზებულ პირს/ლიცენზიის მფლობელს შეუჩეროს მოგების განაწილების, დივიდენდებისა და პრემიების გაცემის, ხელფასების გაზრდა.

ფაქტობრივად, სპეციალური მმართველის დანიშვნის შემდეგ ავტორიზებული პირი/ლიცენზიის მფლობელი მოკლებული იქნება შესაძლებლობას განახორციელოს რაიმე ქმედება და ყველა სახის უფლებამოსილებების განხორციელებისას სრულად იქნება დამოკიდებული კომისიის მიერ დანიშნული სპეციალურ მმართველის და უშუალოდ კომისიის თანხმობაზე.

გარდა ამისა, თუ სპეციალური მმართველი ვერ უზრუნველყოფს გადაწყვეტილების შესრულებას **კომისია** უფლებამოსილი იქნება ისეთი გადაწყვეტილების აღსასრულებლად, რომელიც **კომისიის** თანხმობის გარეშე წილების გასხვისებას ეხება, აუქციონის გზით გაყიდოს ავტორიზებული პირის წილი/აქცია. **კომისია** ისევ თავად განსაზღვრავს (საკმაოდ ზოგადი და რთულად შეფასებითი კრიტერიუმების ფარგლებში), თუ ვინ შეიძლება იყოს წილის/აქციის შემძენი, ადგენს უფლებამოსილებას საკუთარი შეხედულებით აუქციონში მონაწილეობა აუკრძალოს პირს ან გააუქმოს აუქციონის შედეგები.

საქართველოს კონსტიტუციით დაცულია და გარანტირებულია საკუთრების უფლებით შეუფერხებელი სარგებლობის, თავისუფალი განკარგვის, სარგებლობის/შეძენის/გასხვისების უფლება (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 19.1; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება საქმეზე N3/1/512, 26/06/12). კანონპროექტის შემოთავაზებული ნორმები პირდაპირ ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუციით დაცულ და გარანტირებულ საკუთრების უფლების დაცულ სფეროში ჩარევის შესაძლებლობას. გასაგებია, რომ კანონით დადგენილ

შემთხვევებში და დადგენილი წესით საჯარო ინტერესებისთვის დასაშვებია საკუთრების უფლების შეზღუდვა, თუმცა რადგან ნორმის არაკონსტიტუციურობაზე ვსაუბრობთ, მიგვაჩნია, კანონპროექტით შემოთავაზებული საკუთრების უფლების შემზღუდველი ნორმები არ არის თანაზომიერი იმ საჯარო მიზნისა, რის მიღწევასაც კანონპროექტი ისახავს მიზნად შემდეგი მიზეზების გამო:

(i) *ლეგიტიმური მიზანი არის გაურკვეველი და ბუნდოვანი*

ძირითად უფლებაში ჩარევა უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს. კანონპროექტში (განმარტებით ბარათში) საკუთრების უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად მითითებულია: კომისიის გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად ეფექტური ბერკეტის შექმნა. თუმცა კანონპროექტის ავტორი რეგულირების მიზანსა და მნიშვნელობას განმარტავს შემდეგნაირად: „*პროექტით შემოთავაზებული რეგულირება კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვას ეხება, რომლის ფუნქციონირებაც სახელმწიფოსთვის, ისევე როგორც საზოგადოებისთვის უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს.*“ შემოთავაზებული კანონპროექტის არცერთი ნორმა არ ეხება და არ განმარტავს კრიტიკულ ინფრასტრუქტურას. ასეთი განმარტების არარსებობის პირობებში ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული იმის მტკიცება, რომ რეგულირება მხოლოდ კრიტიკული ინფრასტრუქტურის მფლობელ ოპერატორებს შეეხება და კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვას ემსახურება. დღეს საქართველოს საკანონმდებლო ბაზა არ იძლევა იმის შესაძლებლობას ვთქვათ რა არის კრიტიკული ინფრასტრუქტურა, ან განვსაზღვროთ ობიექტების/სუბიექტების ჩამონათვალი. ბუნდოვანია კანონპროექტის მიზანი და, შესაბამისად, ასევე, გაურკვეველია კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებაში ჩარევა რა ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება.

ჩვენთვის უცნობი და ბუნდოვანია დღეს არსებული სამართლებრივი ბერკეტები რა მიზნის მიღწევის საშუალებას არ იძლევა. შესაბამისად, **კომისია** საკანონმდებლო აქტის ინიცირებით ფაქტობრივად ცდილობს დაიდგინოს განუსაზღვრელი უფლებამოსილებები, რომ „*სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესის ან ბაზარზე არსებულ კონკურენტულ გარემოს*“ დაცვის აბსტრაქტული მოტივით ერთპიროვნულად ჩაერიოს ნებისმიერი (მისთვის არასასურველი) ავტორიზებული პირის ბიზნეს საქმიანობაში, თავად დაუდგინოს ავტორიზებულ პირს საქმიანობის პოლიტიკა და უსაფუძვლოდ შეუზღუდოს საკუთრების უფლება.

(ii) *შემოთავაზებული საკანონმდებლო რეგულირება არ არის მიზნის მიღწევის (ასეთის განსაზღვრულად არსებობის შემთხვევაში) გამოსადეგი და აუცილებელი საშუალება, და, შესაბამისად, არის არაპროპორციული*

ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად ნორმატიული აქტით შერჩეული საშუალება უნდა იყოს გამოსადეგი და დაცულ უფლებაში ჩარევა აუცილებელი. ვფიქრობთ, თავდაპირველად, კანონპროექტის ავტორმა ნათლად უნდა ჩამოაყალიბოს რა არის ნორმატიული აქტის ლეგიტიმური მიზანი. თუ ლეგიტიმური მიზანი არის კომისიის გადაწყვეტილებების აღსრულების უზრუნველსაყოფად დამატებითი მექანიზმების შემოღება, მაშინ კომისიის ისეთი გადაწყვეტილებების აღსასრულებლად, რომლის შესრულებაც ობიექტური გარემოებების გამო ისედაც შეუძლებელია, სპეციალური მმართველის ინსტიტუტის შემოღება ვერ იქნება მიზნის მიღწევის გამოსადეგი საშუალება. ასევე, მარეგულირებელს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნის მისაღწევად უკვე აქვს და შეუძლია გამოიყენოს სხვა ნაკლებად მზღუდველი საშუალებები საკუთრების უფლებაში გაუმართლებელი ჩარევის გარეშე.

თუ კანონპროექტის მიზანი არის და ეხება „კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვას“, მაშინ საერთოდ გაუგებარია კრიტიკული ინფრასტრუქტურის დეფინიციის, კრიტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტების ნუსხის განსაზღვრის გარეშე, როგორ აპირებს კანონმდებელი მიზნის მიღწევას. განმარტებით ბარათში საკანონმდებლო ინიციატივის ავტორი თავადვე მიუთითებს, რომ სახელმწიფო მუშაობს კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვის სფეროში რეფორმის იმპლემენტაციაზე. თუმცა ჯერ-ჯერობით რაიმე საკანონმდებლო პაკეტი საქართველოს პარლამენტში არ არის ინიცირებული და არც ის ინფორმაცია გვაქვს სამუშაო პროექტი აქვს თუ არა შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს მზად. შესაბამისად, დღეს კრიტიკულ ინფრასტრუქტურის დაცვის მიზნობრიობით რაიმე საკანონმდებლო აქტის მიღება შეიძლება სრულად იყოს აცდენილი ამ საკითხის რეგულირების ზოგად საკანონმდებლო ჩარჩოსთან და ამ მოცემულობით კანონპროექტზე კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვის მიზნებიდან გამომდინარე ვერ ვიმსჯელებთ.

შემოთავაზებული კანონპროექტი უხეშად ერევა მეწარმე სუბიექტების და ფიზიკური პირების კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებში, მაშინ როცა საკანონმდებლო ინიციატივის ავტორს არ აქვს ნათლად განსაზღვრული და ჩამოყალიბებული რა მიზანთან შესაბამისობაში უნდა შეფასდეს გამოყენებული საშუალების პროპორციულობა. ასეთ პირობებში ვფიქრობთ ნორმა პროპორციულობის სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს.

(2) კანონპროექტი ვერ აკმაყოფილებს საკანონმდებლო ნორმისთვის დადგენილ განსაზღვრულობის მოთხოვნას

კანონპროექტი ეწინააღმდეგება ისეთ კონსტიტუციურ პრინციპებს, როგორებიცაა ნორმის განსაზღვრულობა და განჭვრეტადობა. კანონმდებელი ვალდებულია მიიღოს „ზუსტი, მკაფიო, არაორაზროვანი, განჭვრეტადი კანონმდებლობა (ნორმები), რომლებიც პასუხობს კანონის განსაზღვრულობის მოთხოვნას. ეს გარემოება ერთ-ერთი გადამწყვეტი კრიტერიუმია ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას...“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება საქმეზე N1/3/407, 26/12/2007).

სამართლებრივი განსაზღვრულობის და განჭვრეტადობის ერთ ერთი მთავარი ფუნქციაა რომ ინდივიდი სახელმწიფოს თვითნებობისგან დაიცვას (arbitrariness). კანონი განსაზღვრულობის პრინციპს მაშინ აკმაყოფილებს, როდესაც კანონის „კეთილსინდისიერი განმარტების პირობებში შეუძლებელი იქნება ნორმის თვითნებური და ადამიანის უფლებებისთვის საზიანო გამოყენება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება საქმეზე N2/2-389, 26/10/2007). სახელმწიფო თვითნებობისგან დასაცავად მნიშვნელოვანია, რომ საკანონმდებლო აქტი იყოს ნათელი, არაორაზროვანი „რომ კანონმდებელმა მაქსიმალურად ნათლად, არაორაზროვნად და ამომწურავად განსაზღვროს სახელმწიფოს და მის წარმომადგენელთა უფლებები და მოვალეობები და დისკრეციის ფარგლები...“ განმარტა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში, რომელიც მართალია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის განსაზღვრულობას ეხებოდა, მაგრამ აღნიშნული დიქტა და განსაზღვრულობის მოთხოვნა ვრცელდება ყველა საკანონმდებლო აქტზე (საქმე N740, 28/03/2016).

საქართველოს კანონის პროექტი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ **კომისიას** განუსაზღვრელი უფლებამოსილებების განხორციელების შესაძლებლობას ანიჭებს, რომლის ფარგლები ერთპიროვნულად მხოლოდ კომისიას შეუძლია დაადგინოს და საკუთარი შეხედულებით განსაზღვროს. თეორიულად კომისიას ნებისმიერ დროს შეუძლია დაეყრდნოს „სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესის ან ბაზარზე არსებულ კონკურენტულ გარემოს“ ზიანის მიყენების საფრთხისგან დაცვის მოტივს და შეუზღუდოს ავტორიზებულ პირს თავისუფალი მეწარმეობის/საკუთრების უფლება. კანონპროექტი არ განსაზღვრავს რას გულისხმობს „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესის ან ბაზარზე

არსებულ კონკურენტულ გარემოსთვის“ ზიანის მიყენება. ბუნდოვანი და გაურკვეველია კომისიის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები. შესაბამისად, კანონპროექტის შემოთავაზებული რედაქცია ქმნის საფრთხეს, რომ მარეგულირებელმა ორგანომ თვითნებურად განმარტოს და გამოიყენოს კანონის ნორმა და შელახოს პირის საკუთრების უფლება.

<u>რაც შეეხება „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებს,</u> ვფიქრობთ, რომ კანონპროექტების კონსტიტუციურობის შეფასების ნაწილში მნიშვნელოვანია, რომ ორივე საკანონმდებლო აქტის ცვლილებების პროექტი ერთობლივად გავაანალიზოთ. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შემოთავაზებული რედაქცია ადგენს, რომ კომისიას აქვს უფლება დანიშნოს სპეციალური მმართველი/გაასხვისოს აქცია/წილები იმ შემთხვევაში, თუ ავტორიზებული პირი <u>არ ასრულებს კომისიის გადაწყვეტილებას</u>. მოგეხსენებათ, რომ კომისიის გადაწყვეტილებები მიიღება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმით, რომელიც ექვემდებარება სასამართლო წესით გასაჩივრებას. კომისიის მიერ შემოთავაზებული ცვლილებით, ერთი მხრივ, დაინტერესებულ მხარეს ერთმევა უფლების დაცვის ერთ-ერთი საპროცესო სამართლებრივი ბერკეტი სასამართლოსგან მოითხოვოს კომისიის გადაწყვეტილების მოქმედების ავტომატური შეჩერება; ხოლო, მეორე მხრივ, კანონპროექტი ანიჭებს კომისიას განუსაზღვრელ უფლებამოსილებას, რომ სავარაუდოდ კანონშეუსაბამო გადაწყვეტილების თეორიულად არსებობის პირობებშიც კი ჩაერიოს ავტორიზებული პირის საქმიანობაში, დანიშნოს სპეციალური მმართველი და შემდგომ გაასხვისოს ავტორიზებული პირის წილები/აქცია.

კანონპროექტების გაცნობის შემდეგ გვაქვს განცდა, რომ კომისია, როგორც კანონპროექტის ავტორი იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ კომისიის გადაწყვეტილებები ნებისმიერ შემთხვევაში კანონიერია და დასაბუთებული. თუმცა, პრაქტიკაში კომისიის გადაწყვეტილების აღსრულების პრობლემა სწორედ მაშინ დგება, ან შეიძლება დადგეს, თუ კომისიის გადაწყვეტილება არ არის კანონშესაბამისი. მაგალითისთვის, თუ კომისია იღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომლის ფაქტობრივად შესრულება მისი ადრესატის მიერ ობიექტურად შეუძლებელია.

კანონპროექტის ინიციატორი და ავტორი განმარტებითი ბარათის იმ ნაწილში, რომელიც ფინანსურ შედეგებს ეხება არაფერს ამბობს ვინ არის პასუხისმგებელი ავტორიზებული პირისთვის მიყენებული იმ გამოუსწორებელი ზიანისა და დამდგარი ფაქტობრივი ზარალის ანაზღაურებაზე, რაც კომისიის მიერ სპეციალური მმართველის დანიშვნამ და შემდგომ წილის/აქციის რეალიზაციამ

შეიძლება გამოიწვიოს იმ პირობებში, თუ სასამართლოს მიერ საბოლოოდ უკანონოდ იქნება ცნობილი კომისიის გადაწყვეტილება (რომლის აღსრულების უზრუნველსაყოფადაც იქნა კომისიის მიერ აღნიშნული ღონისძიებები გატარებული).

გაუმართლებელია ასოცირების ხელშეკრულებასთან შესაბამისობის მოტივით დაინტერესებული პირისთვის უფლების დაცვის ისეთი მნიშვნელოვანი საშუალების წართმევა, როგორიც გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედების შეჩერებაა. განსაკუთრებით მაშინ როდესაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი (მუხლი 29.2) უზრუნველყოფს, რომ „მარეგულირებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დარჩეს ძალაში“, როგორც ეს ასოცირების ხელშეკრულების 105 მუხლის მე-6 ნაწილითაა გათვალისწინებული. შესაბამისად, დამატებითი რეგულირების შემოღების საჭიროება ასოცირების ხელშეკრულებასთან შესაბამისობის მოტივით არ არსებობს.

წერილის დასასრულს, მოგმართავთ თხოვნით, <u>არ დაუშვათ კანონპროექტების დაჩქარებული წესით განხილვა, მაქსიმალურად გაითვალისწინოთ ავტორიზებული პირების ლეგიტიმური ინტერესები და სათანადოდ შეისწავლოთ წინამდებარე დოკუმენტით ჩვენს მიერ დაფიქსირებული არგუმენტაცია. აქვე, გიდასტურებთ, რომ ნებისმიერ ფორმატში მზად ვართ ვუპასუხოთ ნებისმიერ თქვენს აქტუალურ კითხვას, მათ შორის, დავესწროთ კანონპროექტების საკომიტეტო მოსმენებს, აქტიური მონაწილეობა მივიღოთ განხილვის პროცესში. ვფიქრობთ, რომ მხოლოდ ობიექტური, ღია და კონსტრუქციული სამუშაო საკანონმდებლო პროცესი არის იმის გარანტი, რომ დასაბუთებულად/გააზრებულად და კანონმდებლობის მოთხოვნების განუხრელი დაცვით გადაწყდეს კანონპროექტების მიღების როგორც მიზანშეწონილობა, ასევე განისაზღვროს/ჩამოყალიბდეს მათი საბოლოო შინაარსი.</u>

პატივისცემით,

შპს „კავკასუს ონლაინი“

შპს „მაგთიკომი“

შპს „დელტა კომმი“

შპს „ახალი ქსელები“

შპს „ სი-ჯი-სი“

შპს „ახტელი“

შპს „სისტემ ნეტი“

შპს „ფოპტნეტი“

ხელმოწერები:

შპს „მაგთიკომი“

MagtiCom LLC Digitally signed by MagtiCom LLC
Date: 2020.07.09 11:56:39 +04'00'

_____

ანდრია ზოდელავა

გენერალური დირექტორის მოადგილე

შპს „დელტა კომმი“

_____

ზურაბ ზარიძე

გენერალური დირექტორი

შპს „კავკასუს ონლაინი“

_____

რევაზ კოპალაძე

გენერალური დირექტორი

შპს „ახალი ქსელები“

შპს „ სი-ჯი-სი“

შპს „ახტელი“

Nana Sharashenidze Digitally signed by Nana Sharashenidze
Date: 2020.07.09 12:59:42 +04'00'

_____

ნანა შარაშენიძე

დირექტორი

შპს „სისტემ ნეტი“

შპს „ფოპტნეტი“

Ilia Injia Digitally signed by Ilia Injia
Date: 2020.07.09 13:01:13
+04'00'

_____

ილია ინჯია

დირექტორი